*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი

შეფასების თარიღ(ებ)ი 16,17 ივნისი 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი 14 ივლისი 2022წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 230039115 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ზესტაფონი |
| იურიდიული მისამართი | ზესტაფონი, ფარნავაზის 4ა |
| ფაქტობრივი მისამართი | ზესტაფონი, ფარნავაზის 4ა |
| საფოსტო ინდექსი | 2000 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://anabasisi.edu.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | schoolaanabasisi@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 577233113 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | ქეთევან ედიბერიძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 577233113 |
| ელ-ფოსტა | ketevanediberidze@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძნება MES2 22 0000430132, 28/04/2022 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 16,17 ივნისი 2022წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ნანა მონიავა |
| წევრი (სახელი, გვარი) | მაკა ნადარეიშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
-------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებზგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ………….. |
| | *1.2.* | …………… |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | …………… |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:<br>დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, თუმცა შეთანხმებული არ არის სამინისტროსთან. სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაუყონებლივ შეათანხმოს არსებული წესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. |
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება აღინიშნოს სკოლის მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი პროექტები. პროექტები ხორციელდება სამივე საფეხურზე, როგორც აკადემიური ასევე არაფორმალური მიმართულებით.<br>სკოლის მეტად მნიშვნელოვანი და კარგი პრაქტიკაა პერიოდულად ლაბორატორიის მიერ წყლის ანალიზის გაკეთება, უსაფრთხოების მიზნით. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | სკოლა უზრუნველყოფს ჯანსაღი, თავისუფლად და კრეატიულად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, აქტიური მოქალაქის აღზრდისა და სწავლებისთვის მაღალ ხარისხს-ურთიერთანამშრომლობის, პროფესიული ზრდისა და უსაფრთხო ინოვაციური საგანმანათლებლო სივრცის შექმნის გზით |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის* |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: --------400------ | ☒ | *თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაზასისმა წარმოადგინა 2021 წლის 1 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: სკოლის მისია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით; სასწავლო წლის კალენდარი; დღის რეჟიმი; დისტანციური სწავლების ორგანიზება; სასკოლო საათობრივი ბადე; გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; საგნობრივი კათედრები; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/ გაუთვალისწინებელი დამატებითი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
-----------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); სადამრიგებლო პროგრამა; ინკლუზიური განათლება;<br>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით - სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საფეხურების მიხედვით გაწერილი მისია, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია.<br>სასწავლო წლის კალენდარი; კალენდარში გაწერილია სასწავლო დღეების (კვირები) და დასვენების დღეები, პირველი და მეორე სემესტრის დასაწყისი და დასასრული; სასწავლო დღის რეჟიმი: გაკვეთილების ხანგრძლივობა და შესვენება. გაკვეთილების ხანგრძლივობის შესწავლისას გაირკვა, რომ პირველსა და მეორე კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობაა 45 წუთი, რაც განსხვავდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული გაკვეთილების ხანგრძლოვობისგან (პირველ კლასში 35 წუთი, ხოლო მეორეში 40 წუთი). აღნიშნულის შესახებ სკოლის ადმინისტრაციას გასაუბრებით გაირკვა, რომ საგაკვეთილო - სასწავლო პრეცესს პირველ კლასში ეთმობა 35-40 წუთი, გაკვეთლის დანარჩენი დრო კი მსუბუქი ფიზიკური აქტივობებისთვისაა განკუთვნილი. თუმცა აღნიშნულ ჩანაწერს ვერ ვხვდებით სასკოლო სასწავლო გეგმაში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პანდემიის გამო დაწესებული რეგულაციების დაცვის მიზნით, სკოლაში სასწავლო დღე იწყება სხვადასხვა დროს: I-IV კლასი იწყებს 08:45 სთ; V-X კლასი იწყებს 09:00 სთ; XI-XII კლასი იწყებს 09:50 სთ;<br>დისტანციური სწავლების ორგანიზება: დისტანციური სწავლების დროს, სკოლა იყენებდა SCHOOL BOOK-ის პლატფორმას. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სრულად დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად განახორციელოს სწავლება. გარდა ამისა, მოცემულია, დისტანციური სწავლებისას დასაშვები მინიმალური და მაქსიმალური საათების რაოდენობა და გაკვეთილების ხანგრძლივობა.<br>საგნობრივი კათედრები: სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში არის ხუთ საგნობრივი კათედრა, რომელიც აერთიანებს სკოლაში მომუშავე მასწავლებლებს. ეს კათედრებია:<br>➢ სახელმწიფო ენისა (ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები) და საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები) კათედრა.<br>➢ ზუსტ (მათემატიკისა და ისტ-ის მასწავლებლები) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის, არჩევითი საგნის-სამედიცინო ბიოლოგიის მასწავლებლები) კათედრა ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ➢ უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსულის) მასწავლებლები;<br>➢ სპორტისა (სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები) და ესთეტიკური აღზრდის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხელოვნების ისტორიის და მუსიკის მასწავლებლები) კათედრა ;<br>➢ დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კათედრების ფუნქციები, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ფუნქციებთან (საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება; კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა; და ა.შ.). წინამდებარე თავში ასევე გაწერილია კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები. კათედრის დებულების მიხედვით (სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N4) მუხლი 2 საგნობრივი კათედრის ფუნქციები - 2.3. ვხვდებით ჩანაწერს - „წევრის არჩევა მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფში“. აღნიშნული პროცესი ძალიან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მნიშვნელოვანია სკოლის განვითარების, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა. იმ დოკუმენტაციის, რომელიც წარმოადგენდა ხარისხის ჯგუფის შექმნას, მის მუშაობას და შედეგებს.<br>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა: სკოლა მოსწავლეებს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებების სახით თავაზობს: გახანგრძლივებული I-IV კლასებში გაკვეთილების შემდეგ 17:00 საათამდე. ქართული ცეკვა - I-IV კლასებში; სიმღერა - I-VII კლასებში; სააბიტურიენტო პროგრამა ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ბიოლოგია, ინგლისური ენა, - XI, XII კლასებში). დამატებითი მომსახურება გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან, გარდა ამისა საფუძვლად უდევს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა.<br>მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა: სკოლა იყენებს მოსწავლეთა განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასების სისტემა ხუთ დონიანი და ათ ქულიანია, შესაბამისია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული შეფასების. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. სკოლა სემესტრის მანძილზე მოსწავლეები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით საშინაო დავალება; საკლასო დავალება; შემაჯამებელი დავალება). სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ნაწილს დანართის სახით დანართი N9) თან ახლავს შეფასების რუბრიკების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები არის ზოგადი ხასიათის (დისკუსიის შეფასება, ექსპერიმენტის შეფასება, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციის შეფასება, ზეპირმეტყველების შეფასება, პროექტების შეფასება, რეფერატის შეფასება და ა.შ.). ამავე თავში გაწერილია შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, საგნის, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულების გაანგარიშების წესი, სემესტრული გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა, ექსტერნატის გამოცდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეფასების სისტემა ეფუძნება და გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან.<br>საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი: სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებულია იმ გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი (სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N7) და დამატებითი რესურსები, რომლებსაც სკოლა იყენებს სწავლა-სწავლების პროცესში. დამატებით რესურსში მოიაზრება როგორც ციფრული- ელექტრონული ასევე მატერიალური რესურსი.<br>სადამრიგებლო პროგრამა: მოიცავს კლასის დამრიგებლის მოვალეობებს. დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, სადამრიგებლო პროგრამის სარეკომენდაციო შინაარსს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა შეკითხვები და დაინტერესდა თუ როგორ ხორციელდებოდა სადამრიგებლო პროგრამა, კლასის საათი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინკლუზიური განათლება: სასკოლო სასწავლო გეგმა ასევე მოიცავს ინკლუზიური განათლების ზოგად პრინციპებს; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, მის შემდგენელ ნაწილებს, შესრულებაზე პასუხიმსგებელ პირს. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებას, დასწრებასა და გაცდენებს. ინკულზიური განათლების პრინციპები ეფუძნება და გამომდინარეობს ეროვნულ სასწავლო გეგმიდან.<br>შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა: სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია საგნების მიხედვით შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა.<br>საერთო ჯამში, სასკოლო სასწავლო გეგმას აქვს ერთიანი დოკუმენტის სახე, რომელიც შევსებულია დანართებით.<br>საათობრივი ბადე: სკოლას მისიის შესაბამისად დაწყებით და საბაზო საფეხურზე სკოლას დამატებული აქვს კვირეული საათობრივი დატვირთვა პირველ უცხოურ ენაში (კვირაში 4 საათი) და ასევე მეორე ენას იწყებენ მესამე კლასში და ამ შემთხვევაშიც დამატებული აქვს 1 საათი კვირეულ დატვირთვას (3 საათი კვირაში). ხოლო საშუალო საფეხურზე, XI კლასში მეორე უცხოურ ენას ეთმობა 2 საათი კვირაში ხოლო XII კლასში კი 1 საათი. საბაზო საფეხურზე VIII და IX კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასა და მუსიკას ეთმობა კვირაში 2 საათი (რაც მეტია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ საათებთან მიმართებაში), ხოლო სპორტს ეთმობა ერთი საათი, ორის ნაცვლად. საერთო ჯამში სკოლას საათობრივ ბადეში აქვს 25%-იანი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ცვლილება, რაც გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადის მეორე მოდელს (ეროვნული სასწავლო გეგმა. თავი X მუხლი 56 სასკოლო საათობრივი ბადე). სკოლის საათობრივ ბადეში, ასევე გაწერილია დამატებითი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურების საათები.<br>არჩევითი საგანი: სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ არჩევით საგნებს: ხელოვნების ისტორია; სამედიცინო ბიოლოგია; კომპიუტერული მეცნიერება; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაბასისის“2021 წლის 1 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1;**<br>• **სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაბასისის“ კათედრის დებულება;**<br>• **სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაბასისის“ კათედრების სხდომის ოქმები;**<br>• **სკოლის საათობრივი ბადე;**<br>• **გაკვეთილების ცხრილი;** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა.<br><br>➢ სახელმწიფო ენისა (ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები) და საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოძრაობის უსაფრთხოების, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები) კათედრა.<br>➢ ზუსტ (მათემატიკისა და ისტ-ის მასწავლებლები) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის, არჩევითი საგნის-სამედიცინო ბიოლოგიის მასწავლებლები) კათედრა;<br>➢ უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსულის) მასწავლებლები;<br>➢ სპორტისა (სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები) და ესთეტიკური აღზრდის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხელოვნების ისტორიის და მუსიკის მასწავლებლები) კათედრა;<br>➢ დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.<br><br>კათედრებზე გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფში შემავალი ყველა საგნის მასწავლებელი. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმი, თემატური მატრიცები და კომპლექსური დავალებები. ასევე, შემაჯამებელი დავალების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ იყენებდა SCHOOL BOOK-ის პლატფორმა შემაჯამებელი დავალებების ვიზუალური, დიაგრამებით ანალიზის საშუალებას იძლევა. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მას დავალების ანალიზისას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სისტემა თავისთავად ითვლის და პროცენტულად აჩვენებს თუ რომელი დავალების შესრულება გაუჭირდა კლასს ზოგადად და რომელი გაუიოლდა. ამის შემდეგ თითოეული მასწავლებელი კლასისთვის საერთო რეკომენდაციას წერს. გამოყოფს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.<br>მასწავლებლებმა ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება და მათ წარმოადგინეს კომპლექსური დავალებები (პირობები) და მოსწავლეთა ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებები მრავალფეროვანია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები, ეს იყო სხვადასხვა პრეზენტაციები რომელთა შორის გამოვყოფდით ქიმიას და პრეზენტაციას „წყალი“. მოსწავლეებმა ინდივიდუალურად წარადგინეს power point-ის პრეზენტაციით წყლის თვისებები, და ასევე ექსპერიმენტები მის სახეცვალებადობაზე (აორთქლება, მოცულობის ზრდა ა.შ.), აღნიშნულ დავალებაში მოცემული იყო სხვადასხვა ექსპერიმენტი რომლებსაც მოსწავლეები ატარებდნენ და თან აკეთებდნენ განმარტებებს. ასევე აღსანიშნავია კომპლექსური დავალება - ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე, მოსწავლეებმა აღმოაჩინეს, ისწავლეს და ერთმანეთს დაუკავშირეს კლასიკური ნაწარმოებები და მათი სატელეფონო ზარის ვერსიები, ასევე მუსიკით გამოხატული ემოცია და ემოციის გამომხატველი ღიმილები. ინგლისურ ენაში ჩატარებული პრეზენტაცია - „ჩემი სკოლა“ - მოსწავლეებმა minecraft-ის პროგრამაში შექმნეს სასკოლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
-------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გარემო და შემდეგ წარადგინეს ის კლასის წინაშე. ბიოლოგიაში კომპლექსური დავალების ფარგლებში. მოსწავლეებმა ჯგუფური მუშაობისას შექმნეს მიტოზისა და მეიოზის მოდელი, შემდეგ წარუდგინეს ის თანაკლასელებს. შემაჯამებელი დავალებები გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და რთულია მათი სათითაოდ აღწერა. ამიტომაც აღვნიშნავთ, რომ მათი მრავალფეროვნების ანალიზისას გამოიკვეთა სკლის ძლიერი მხარე, აღნიშნული ტიპის დავალება ყველა მოსწავლეს აძლევს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს და შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად გამოავლინოს თავი. როგორც ვიცით პროექტებით სწავლებას ძლიან დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესში, ის მოსწავლეებში ხელს უწყობს არამხოლოდ საგნობრივი ცოდნისა გაღმავებას და კომპეტენციის განვითარებას არამედ კვლევითი და სოციალური უნარების განვითარებასაც. ამ მიმართულებით აღსანიშნავია სკოლის აქტიურობა, და მრავალფეროვანი პროექტები რომლებსაც სკოლა სხვადასხვა სასკოლო კლუბისა თუ საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში ახორციელებს.<br>თავდაპირველად გამოვყოფდით STEM მიმართულებას - პროექტი „არა პოლიეთილენს“. პროექტი განხორციელდა საბუნებისმეტყველო განათლების კვლევითი ცენტრი -SALiS - ის მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა (მერვე კლასი) შეიმუშავეს რეცეპტი და სახამებლისგან შექმნეს ეკოლოგიურად უსაფრთხო ბიო-პლასტმასი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, პროექტის ხელმძღვანელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებელი ერთ-ერთი გამარჯვებული გახლდათ და შემაჯამებელ კონფერენციას დაესწრო ჩეხეთში.<br>STEM მიმართულებით აღსანიშნავია დაწყებითი კლასის პროექტი „ნორჩი მკვლევარები“ - დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებმა მცენარის სასიცოცხლო ეტაპის დასწავლის თვალსაზრისით, ჩაატარეს ექსპერიმენტი და აწარმოეს დაკვირვება (მათ დათესეს მცენარეები პატარა ქოთნებში და ნაწილი მათგანი მოათავსეს მზეზე, ნაწილი კი კარადაში, მზის გარეშე. შემდეგ აკვირდებოდნენ და აღწერდნენ თუ როგორ იზრდებოდა / არ იზრდებოდა მცენარე).<br>ასევე მნიშვნელოვანია ისტორია - სამოქალაქო განათლების მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა პროექტი. მათ შორის: „მეთუნეობა“ და „კულტურული მემკვიდრეობა იმერეთში“. აღნიშნული პროექტების ფარგლებში მოსწავლეებმა დაახარისხეს მათივე მოძიებული ინფორმაცია და შექმნეს საინფორმაციო ბუკლეტები. ბუკლეტები შექმნილი იყო როგორც ციფრული/ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, ასევე ხელით (ხელნაკეთის სახით).<br>გარდა სასწავლო პროექტების, სკოლის მოსწავლები აქტიურად არიან ჩართული სოციალურ პროექტებში, სხვა სკოლასთან ერთად. რაც ბუნებრივია ხელს უწყობს სკოლათა შორის თანამშრომლობას. ამ მიმართულებით აღსანიშნავია დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის ორგანიზებული პროექტი საკუთარი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. აღნიშნულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროექტ სკოლა ანაბასისის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა, საკუთარი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვით წვლილი შეიტანეს ფონდში.<br>მრავალფეროვანია სკოლის ფარგლებში განხორციელებული დავალებების, აქტივობებისა და პროექტების გამა, ეს კი მოწმობს, რომ სკოლა პასუხობს მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.<br>სკოლამ წამოადგინა სხვა სკოლებთან თანამშრომლობის მემორანდუმები. მათ შორის: 2017 წლის 10 აპრილს გაფორმებული მემორანდუმი ლიეტუვას ქალაქ ტაურაგეს გიმნაზია „ვიარსმესთან“. მემორანდუმის ფარგლებსი სკოლის ბიბლიოთეკაში ვხვდებით ლიეტუვას შესახებ სხვადასხვა წიგნებს და ქვეყნისთვის დამახასიათებელ სუვენირებს. 2022 წლის 17 ივნისს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი ზესტაფონის N7 საჯარო სკოლასთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კათედრების საქაღალდეები (პორტფოლიო) თემატური მატრიცები<br>• საგნის მასწავლებელთა ელექტრონული საქაღალდეები (პორტფოლიო)<br>• შემაჯამებელი დავალების ანალიზი<br>• სკოლებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი ინტერვიუ |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს ისინი სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით.<br>დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების პრინციპები.<br>მასწავლებლებთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ დაწესებულება/ მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას.<br>სკოლას ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა 2021-2022 წწ<br>• სკოლის თვითშეფასების კითხვარი<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასების მიზნები და წესი. მოსწავლის აკადემიური მოსწრება ფასდება 10 ქულიანი სისტემით 5 დონის მიხედვით.<br>კათედრების მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზითა და თემატური მატრიცებით დგინდება, რომ სკოლა შემაჯამებელ დავალებად იყენებს კომპლექსური ტიპის დავალებას. კომპლექსური ტიპის დავალება თავის მხრივ მოიაზრებს მოსწავლის სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა-გამოყენებას. აღნიშნული შემაჯამებელი დავალებების განხილვისას მიმდინარეობს მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი სახით ერთვის შეფასების რუბრიკები, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასების რუბრიკები ზოგადია, ისინი გამოირჩევიან თავისი მრავალფეროვნებით, აქ არის დისკუსიის შეფასება, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების შეფასება და ა.შ.<br>მასწავლებელთა პორტფოლიოების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ისინი განმავითარებელი შეფასებისას იყენებდნენ სოლო ტაქსონომიის ნიმუშებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **სასკოლო სასწავლო გეგმა 2021-2022;**<br>• **სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი -შეფასების რუბრიკები;**<br>• **ინტერვიუ მასწავლებლებთან;** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სისტემა schoolbook-ის ელექტრონული პორტალი მშობლებს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნონ საკუთარი შვილის დასწრებას, ნიშნებს და დავალებებს. გარდა ამისა, კლასის დამრიგებელი საჭიროებისამებრ უკავშირდება მშობელს, სემესტრის დასასრულს კი აწვდის ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროებისამებრ იმართება მშობელთა კრებები, რომლებზედაც განიხილება ზოგადი, საორგანიზაციო საკითხები.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N5 სადამრიგებლო პროგრამა-ში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები, რომელიც გულისხმობს, რომ მინიმუმ თვეში ერთხელ მიაწოდოს ინდივიდუალურად მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინისა თუ წარმატებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში კი უნდა შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მშობლის ინფორმირება ხდება სხვადსხვა ფორმით: შეხვედრებით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სატელეფონო საუბრებით.<br>გარდა ამისა, მშობლებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ schoolbook-ის ელექტრონულ სისტემას აქვს მობილური ტელეფონის აპლიკაცია და ამ აპლიკაციის საშუალებით ისინი ინფორმირებული არიან დაუყოვნებლივ. მოკლე ტექსტური შეტყობინება მისდით როდესაც მასწავლებელი ნიშნავს საშინაო დავალებას და ა.შ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **სკოლა ანბასისის სადამრიგებლო პროგრამა**<br>• **schoolbook-ის ელექტრონული პლატფორმა**<br>• **ინტერვიურება** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესებას. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ის კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებსაც აფასებს სკოლა: სასკოლო გარემოს შეფასება (სკოლის საერთო კულტურის); ინფრასტრუქტურის შეფასება (საკლასო ოთახები, სველი წერტილები, სპორტული დარბაზი და ა.შ.) მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება; სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება;<br>სკოლას ასევე ჰყავს განვითარების ჯგუფი, რომელსაც გაწერილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმა მოიცავს: საქმიანობას, მიზანს, შესრულების ვადებს, პასუხიმგებელ პირს, რესურსს. აღნიშნული გეგმა ძალიან საინტერესოა განხორციელებისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ხარისხის განვითარების ჯგუფის პორტფოლიოს ანალიზისას გაირკვა, რომ ჯგუფში შედის კათედრის წარმომადგენელი, დირექტორი და ხარისხის განვითარების მენეჯერი. ხარისხის განვითარების მენეჯერი აკეთებს ანგარიშს ყოველი სემესტრის ბოლოს. სემესტრული ანგარიშები წარმოდგენილია 2017-2018 წლიდან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღნიშნული ანგარიშები ძირითადად აღწერითი ხასიათისაა და გამოყოფს სკოლის ძლიერ მხარეს. აღწერს სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებს, პროექტებსა და ღია გაკვეთილებს. 2021-2022 წლის პირველი სემესტრის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ სემესტრის ბოლოს სკოლა შეხვედრა მზრუნველთა საბჭოს (მშობლებს). აღნიშნულ შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს პირველი სემესტრის შედეგებზე და გამოვლენილ საჭიროებებსა და კომპლექსური დავალების რაობაზე.<br>გარდა ამისა, მასწავლებელთა ელექტრონული პორტფოლიოს განხილვისას გაირკვა, რომ თითოეულ მასწავლებელს სტატუსის შესაბამისად (უფროსს სამი, ხოლო წამყვანს ორი) ჩატარებულ გაკვეთილზე აქვს: გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია და ხარისხის განვითარების ჯგუფის (გაკვეთილზე დამკვირვებლების) უკუკავშირი.<br>ასვე აღსანიშნავია ანკეტირება - გამოკითხვა, რომელსაც სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი აწარმოებს სასწავლო წლის განმავლობაში. ანკეტირება ხდება ინტერესის გამოსაკვლევად, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეები და მშორლები ანონიმურად (მხოლოდ აფასებენ დამრიგებელს და საგნის მასწავლებელს). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;<br>• სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ხარისხის განვითარების ჯგუფის პორტფოლიო;<br>• სასწავლი წლის განმავლობაში ჩატარებული ანკეტირება - გამოკითხვა - შევსებული კითხვარები;<br>• მასწავლებელთა ელექტრონული პორტფოლიო;<br>• ინტერვიუ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | **სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაზასისი ფუნქციონირებს ქალაქ ზესტაფონში, ფარნავაზ მეფის ქუჩა N4ა.** საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით შენობის საერთო ფართია 1768.46კვ.მ. ხოლო სკოლის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართი შეადგენს 2688 კვ.მ-ს. არსებულ ფართზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ხოლო და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და და გეგმილი აქტივობები. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | **ზესტაფონი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N4ა** |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | **32.10.34.511** |
| *კვ.მ* | შენობის საერთო ფართი- 1768.46 კვ.მ;<br>მიწის ნაკვეთის ფართი - 2688.00 კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • **ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;**<br>• **შიდა აზომვითი ნახაზი** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------
----------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ზ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობაში არის 23 მოქმედი საკლასო ოთახი და ერთი განაყოფის კლასი. საკლასო ოთახების საშუალო ფართობი შეადგენს 26 კვ.მ-ს. შენობაში განთავსებულია ერთი კომპიუტერული კლასი, ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამდივნო, არასტანდარტული სპორტული დარბაზი პირველს სართულზე და ღია სპორტული მოედანი. სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებული ბუფეტი და სასადილო ოთახი 6 (6 ადგილიანი) მაგიდითა და 48 სკამით. საკლასო ოთახებში და საწყობებში განთავსებულია 480 მერხი (ერთადგილიანია) და 520 სკამი. აღნიშნული ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტები. მერხებისა და სკამების ეს რაოდენობა საკმარისზე მეტიცაა მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე. ვიზიტის დროისთვის სკოლაში ირიცხებოდა 321 მოსწავლე. გარდა აღნიშნული ინვენტარისა საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფებით, კარადებით, პლაკატებით, პროექტორით, რუკებით, ცხრილებით, სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებებით, შეფასების რუბრიკებით, ჰიგიენის დაცვის წესებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ვიზუალური დათვალიერებით;**<br>• **შიდა-აზომვითი ნახაზით;**<br>• **ანგარიშ-ფაქტურებით;**<br>• **მერხებისა და სკამების შეძენისა დოკუმენტებით.** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი. ღია მოედანზე არის ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სპორტულ დარბაზში 82.8კვ.მ. ზომისაა, სადაც შესაძლებელია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩატარება სტანდარტის მიღწევა. სკოლას გააჩნია სპორტული ინვენტარი ასაკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით.<br>• დირექტორთან და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კომპლექტი, ასევე სკოლას აქვს შეძენილი ვირტუალური ელექტრონული ლაბორატორია, რომელიც შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან.<br>ლაბორატორიული კომპლექტი განთავსებულია ერთ ოთახში - კარადებსა და თაროებზე. ლაბორატორია აღჭურვილია კარადით, ხელსაბანი ნიჟარით. ოთახში ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ვიზუალური დათვალიერებით;**<br>• **შესყიდვის დოკუმენტაციით.**<br>• **ადმინისტრაციასთან გასაუბრებით** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ელექტროენერგიით, წყლითა და ბუნებრივი აირით უწყვეტი უზრუნველყოფა ხორციელდება ცენტრალიზებულად.<br>სკოლას აღნიშნული მომსახურეობები მიეწოდება „ენერგო-პრო ჯორჯია“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.<br>საკლასო ოთახები ნათელია და აქვთ ბუნებრივი განათება. სკოლის შენობის გათბობა ხდება ცენტრალური გათბობის საშუალებით. შენობაში მოწყობილია გოგონების, ბიჭების, მასწავლებლის სველი წერტილები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საინვენტარო ჟურნალის მიხედვით სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 3310 ერთეულს, მათგან 2760 მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურაა, დანარჩენი 550, სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული სასკოლო სახელმძღვანელოები.<br>სკოლას გამოწერილი აქვს გაზეთი „ახალი განათლება“.<br>წიგნებზე სათანადო ადგილას დასმულია სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები მინიჭებული აქვს. წიგნების გატანა/ მოტანა აღირიცხება მკითხველთა ფორმულარებში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
-----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკაში არსებობს მკითხველთა ფორმულარები. ბიბლიოთეკაში არის ანბანური კატალოგი მატერიალური და ელექტრონული სახით. კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც აღწერილია სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში არის ორი კომპიუტერი, რომელსაც მიეწოდება ინტერნეტი და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• საინვენტარო წიგნებით;<br>• დირექტორთან და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობაში პირველ სართულზე შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, მეორე სართულზე ასასვლელად გამოიყენება ასაკეცი პანდუსები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მფლობელობაშია 20 პერსონალური კომპიუტერი და 8 ლეპტოპი. მათ შორის 16 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, და 2ბიბლიოთეკაში, 2 ადმინისტრაციაში. თითოეულ კლასს მიეწოდება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინტერნეტი უწყვეტ რეჟიმში. თითოეული კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის. გარდა ლეპტოპებისა და კომპიუტერებისა სკოლა აქვს 1 პროექტორი. 4 მულტიფუნქციური პრინტერი, 1 ტელევიზორი, 1 თეთრი ეკრანი, 2 მუსიკალური ცენტრი. პროექტორი და ლეპტოპები აქტიურად გამოიყენება სხვადსხვა აქტივობებისა და პრეზენტაციებისათვის.<br>სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომლიც გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად და კომუნიკაციისათვის. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება უწყვეტად, სკოლაში ყველა სართულზე არის უკაბელო ინტერნეტის შესამლებლობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ხელშეკრულებებით;<br>• ანგარიშფაქტურებით;<br>• მიღება-ჩაბარების აქტებით;<br>• ვებ ვერდის დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები.<br>სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები სადაც დაცულია დამუხტვის ვადები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ცეცხლმაქრების შესყიდვის და დატუმბვის დოკუმენტებით;<br>• დირექტორთან გასაუბრებით.<br>• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმა, თუმცა წარმოდგენილ გეგმას, ოთახებისა და დერეფნების რეალურ განლაგებას შორის იყო აცდენა. რეკომენდაციის მიღების შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება (სკოლასა და „ზესტაფონპროექტს“ შორის გაფორმებული 17/06/2022) ახალი გეგმის მომზადებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საევაკუაციო გეგმა;<br>• ხელშეკრულება<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექთანი. სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები, სამედიცინო დანიშნულებით გამოყოფილია ცალკე ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით - სამედიცინო კარადით მედიკამენტებისთვის, სამედიცინო საწოლით, ექიმის მაგიდით. ექთანი აწარმოებს ჩანაწერების წიგნს, რომელშიც აღნიშნულია ვინ, როდის რა ჩივილით მიმართ და რა დახმარება გაეწია. ექთნის მოვალეობები ექთნის დებულებასა და ხელშეკრულებაში.<br>2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცდა სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის და სამედიცინო პერსონალის რაოდენობის შესაბამისობისათვის (100-500 მოსწავლეზე 1 ექიმი (კადრის არარსებობისას შემთხვევაში ექიმი შეიძლება ჩანაცვლდეს ექთნით)) სკოლას ესაჭიოება ერთი ექიმი ან ექთანი. ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა გამოაცხადებს ვაკანსიას და ექიმის არასებობის შემთხვევაში ექთნის კადრს გამოიყენებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ჩანაწერების წიგნით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ექთნის ხელშეკრულება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი.<br>სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, თუმცა შეთანხმებული არ არის სამინისტროსთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მორიგეობის ცხრილები<br>• ხელშეკრულება;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში დამონტაჟებულია 9 კამერა; შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 7 კამერა, პირველ სართულზე განთავსებულია 4 კამერა, მეორე სართულზე 3.<br>გარეპერიმეტრს და სკოლის შენობის ორივე შემოსასვლელს აკონტროლებს 2 ვიდეო კამერა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თითოეული კამერა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• დირექტორთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას ეფექტურად ფუნქციონირებისათვის შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლის დებულება, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის მზრუნველთა საბჭოს დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, მშობელსა და სკოლას შორის ურთიერთობის წესი, პანდემის დროს სამოქმედო გეგმას.<br>სკოლის დებულებით განსაზღვრულია: სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი;ძირითადი მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, სკოლის სტრუქტურა და მართვა, პედაგოგიური საბჭო, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზება, უსაფრთხო სკოლა, დავა, სკოლის უსაფრთხოება, სკოლის ვალდებულებები, საჯარო დოკუმენტების თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა, საფინანსო–ეკონომიური საქმიანობა, სკოლის რეორგანიზაცია, სკოლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, დანართები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის დებულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად არის შექმნილი სკოლის ყველა მარეგულირებელი დოკუმენტები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის დებულება<br>• სკოლის შინაგანაწესი<br>• სკოლის მზრუნველთა საბჭოს დებულება<br>• ბიბლიოთეკის დებულება<br>• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები<br>• მშობელსა და სკოლას შორის ურთიერთობის წესი<br>• პანდემის დროს სამოქმედო გეგმა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 6 წლიანი და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები.<br>2022-20028 წლების 6 წლიან გეგმაში წარმოდგენილია 5 პრიორიტეტი თავისი შესაბამისი მიზნით (რომელიც თემის სახელწოდებითაა ჩამოყალიბებული):<br>I. სწავლა -სწავლება/თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო -სააღმზრდელო პროცესების და სამუშაო გარემოს ორგანიზება<br>II. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება/მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება<br>III. მართვის პროცესი/ სკოლის მენეჯმენტის მოდერნიზება<br>IV. მატერიალურ ტექნიკური ბაზა/სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | V. პარტნიორული ურთიერთობები/ სკოლის პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა<br><br>თითოეული ჩაშლილია ამოცანებად, გაწერილია ვადებში და მინიშნებულია პასუხისმგებელი პირები.<br><br>ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან. ჩაშლილია შესაბამისი აქტივობები გაწერილია ერთი წლის კალენდარში, ასევე ჩაშლილია პასუხისმგებელი პირებიც. აქტივობები ჩაშლილია შემდეგი სახით: სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება, სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება, სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება.<br><br>სკოლას წარმოდგენილი აქვს SWOT ანალიზი სადაც განხილულია სკოლის ძლიერი მხარეები, სუსტი მხარე, საფრთხეები, რაც გათვალისწინებულია როგორც განვითარების, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **SWOT ანალიზი**<br>• **ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა**<br>• **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაბასისს“ შემუშავებული აქვს საქმის წარმოების ერთიანი წესები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021წელს.<br>წესში გაწერილია შემდეგი საკითხები: შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესი; შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის წესი; შემოსული რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვისა და მასზე პასუხის მომზადების წესი; გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესი; კორესპონდენციის გაგზავნისა და კორესპონდენციის აღრიცხვის წესი; ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი; ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი; მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი - სარეგისტრაციო ჟურნალი; ოქმების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი; დოკუმენტებზე სარეგისტრაციო ინდექსის მინიჭება; არქივი.<br>დოკუმენტაციის წარმოება სკოლაში მიმდინარეობს არსებული წესის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **სპს „თავაძე და კომპანია“სკოლა „ანაბასისის“ საქმისწარმოების წესი**<br>• **სპს „თავაძე და კომპანია“სკოლა „ანაბასისის“ ბრძანებების, ხელშეკრულებების, შემოსული, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნელები** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, თუმცა შეთანხმებული არ არის სამინისტროსთან. სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაუყონებლივ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეათანხმოს არსებული წესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა, 2021-2022 სასწავლო წლის შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს 41 პედაგოგი. სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავენ დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, საქმისმწარმოებელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სამეურნეო ნაწილის მენეჯერი, სკოლაში საშტატო განრიგის შესაბამისად არის 60 თანამშრომელი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაბასისის“ eschool-ის ბაზები<br>• სკს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაბასისის“ სამსახურეობრივი ინსტრუქციები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 41 |
| მოწვეული/მამიებელი | 2 - მაძიებელი, 2 -მოწვეული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| უსტატუსო მასწავლებლი | 5 |
| უფროსი მასწავლებლი | 15 |
| წამყვანი მასწავლებლი | 17 |
| მენტორის სტატუსი | - |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეულები არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის 17 წამყვანი, 15 უფროსი, 2 მაძიებელი, 2 მოწვეული და 5 უსტატუსო მასწავლებელი.<br>სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული აქვს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაზასისის“ შინაგანაწესი**<br>• **სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაზასისის“ მიერ დადებული ხელშეკრულებები**<br>• **ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოქმედებს პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე ასაყვანი პირების მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესს. შინაგანაწესში გაწერილია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები.<br>ასევე შინაგანაწესი მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს, აგრეთვე, წახალისების ფორმებს.<br>გაწერილია სკოლაში თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესები, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობები. განხილული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საკითხები ასევე გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც ადასტურებს არსებული რეგულაციების გამჭვირვალობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაზასისის“ შინაგანაწესი<br>• სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაზასისის“ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები.<br>სულ 60 ხელშეკრულება |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაზასისის“ შინაგანაწესი<br>• სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაზასისის“ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაზასისში არსებობს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი დებულება, რომლის მიზანია:<br>ა) სკოლის ასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება.<br>ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------
----------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;<br>დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.<br><br>დებულებაში გაწერილია ხარისხის ჯგუფის მოვალეობები, ჯგუფის საქმიანობა, მასწავლებელთა შეფასების პროცესი და ფორმები, მასწავლებელთა პროფესიული განვითრების დაგეგმვის საკითხები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის<br>• სპს „თავაძე და კომპანია" სკოლა „ანაბასისის" პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება<br>• სპს „თავაძე და კომპანია" სკოლა „ანაბასისის"საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელის ანგარიშები.<br>• სპს „თავაძე და კომპანია" სკოლა „ანაბასისის" ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო საზოგადოების წევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემო. მასწავლებლი აღნიშნავენ, რომ გარემო რომელშიც მუშაობენ არის კეთილგანწყობილი, ადმინისტარაციისაგან, მშობლებისგან არის თანადგომა სასწავლო პროცესის წარმართვასა და მოსწავლეების შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზების ხელშესაწყობად. მშობლები აღნიშნავენ, რომ აქვთ საშუალება საკუთარი მოსაზრებების, სურვილების, ინიციატივების გაზიარების, როგორც მასწავლებლებთან ასევე სკოლის დირექციასთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------
------------------------
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინტერვიუს პროცესში მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა წამოაყენონ სხვა და სხვა ინიციატივა თვითმმართველობის წინაშე შემდეგ თვითმმართველობა წარადგენს სკოლის სკოლის პარტნიორთა კრებასა და დირექციასთან იდეის სახით, რის შემდეგაც ყველა იდეაზე ღებულობენ არგუმენტირებულ უკუკავშირს.<br>სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის არჩევის, ფუნქციებისა და ვალდებულებების შესახებ. მაგალითად მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციაა: შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ; უფლებამოსილია პარტნიორთა კრებას წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, აყენებს დირექციის წინაშე საკითხს სასკოლო კლუბების შექმნასთან დაკავშირებით; ხელს უწყობს მოსწავლეთა უფლებების დაცვას; უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები სკოლის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მონაწილეობს შიდასასკოლო ღონისძიებების ორგანიზებაში; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა მიერ ეთიკის ნორმების და დისციპლინის დაცვას;<br>სკოლაში მუდმივად, გეგმის მიხედვით, ხორციელდება სხვადასხვა შემეცნებითი, ინტელექტუალური, შემოქმედებითი აქტივობები, რომელშიც ჩართულები არიან მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები.<br>სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ინტერესდება სასკოლო საზოგადოების კმაყოფილებით და სასკოლო კლიმატით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაზასისის“ დებულება<br>• სპს „თავაძე და კომპანია“ სკოლა „ანაზასისის“ მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება<br>• თვითმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობები<br>• კითხვარები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინტერვიუ მასწავლებლებთან<br>• ინტერვიუ მშობლებთან<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

.......... თბილისი......... .... 14/07/2022........

გვერდების რაოდენობა ...44...



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.